

**ზოგად-ქართული და კერძო-ქართვალური  
იმანენტური საზრისის  
ნიშანდობლივი თავისებურებანი**  
**DISTINCTIVE FEATURES OF  
COMMON-GEORGIAN AND  
SPECIFIC-KARTVELIAN IMMANENT MEANING**

**ზადრი ფორჩხიძე**

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ქუთაისი, საქართველო

**Badri Porchkhidze**

Akaki Tsereteli State University  
Kutaisi, Georgia

**ABSTRACT**

Many well-known Georgian and foreign figures wrote about their own impression concerning the Georgian phenomenon, which, with rare exception, was not a gesture intended for familiarities and cheap compliments typical to a superficial relationship; therefore, it is worth focusing mainly on such authors' evaluations and opinions which are found in their most interesting and popular scholarly works.

The purpose of this study is to demonstrate the Georgian worldview in general and, along with it, the peculiarities of specifically Kartvelian character, in the historical-cultural, socio-psychological and ethno-genesis context, in which the existence of our nation has been interpreted from the beginning to the present.

This types of studies have a certain place in the works of classical thinkers of the world; to illustrate that, it is enough to mention the book entitled *The Philosophy of Mind* authored by Georg Wilhelm Friedrich Hegel referred to as a summit of German philosophy, which book, along with many theoretical and methodological general philosophical problems, features basic characteristics of racial categories of various ancestries and origins on the face of the earth and aspects of value of their universal importance. It should also be noted that there is no clear-cut, non-contradictory and universally agreed upon view about a particular ethnicity, origin and race, however, this type of studies has a very prominent role among international scholarly circles.

Based on materials authored by local and foreign researchers, the article examines the intrinsic features of the common Georgian worldview as well as specific-Kartvelian immanent meaning, which features carry some ideological and methodological burden, under the conditions of significantly persistent national, social and moral nihilism in present-day Georgia.

**საკვანძო სიტყვები:** იმანენტური საზრისი, სულიერი მისია, კულტურული თვითმყოფადობა, ეროვნული ნიჰილიზმი, ისტორიული მემკვიდრეობა.

**Keywords:** immanent meaning, a spiritual mission, cultural identity, national nihilism, historical heritage

ქართული ფენომენის შესახებ მრავალი ისტორიულად ცნობილი ქართველი და უცხოელი მოღვაწე წერდა საკუთარ შთაბეჭდილებას, რომელიც, იშვიათი გამონაკლისის გარდა, არ ყოფილა ზერელე ურთიერთობისთვის დამახასიათებელი, ფამილარობისა და იაფფასიანი ქათინაურის მიზნით გამოხატული ჟესტი; ამიტომაც ძირითადად ისეთი ავტორების მიერ გადმოცემულ შეხედულებებსა და შეფასებებზე შეიძლება ყურადღების შეჩერება, რომლებიც მათ ყველაზე საინტერესო და პოპულარულ სამეცნიერო შრომებში გვხვდება. ჩვენი კვლევის მიზანია, სისტემური ანალიზისა და იმანენტური საზრისის გაშუქების ფონზე, წარმოვაჩინოთ ზოგადად ქართული მსოფლგანცდისეული და მასთან ერთად პერსონალურ-ქართველური ხასიათის შინაგანი თავისებურებანი იმ ისტორიულ-კულტურულ, სოციალურ-ფსიქოლოგიურ და ეთნო-გენეზისურ კონტექსტში, რაშიც მოიაზრება ჩვენი ერის ყოფა-ცხოვრება დასაბამიდან დღემდე. მსგავსი ტიპის კვლევებს გარკვეული ადგილი უჭირავს მსოფლიოს კლასიკოს მოაზროვნეთა ნაწარმოებებში, რომლის საილუსტრაციოდაც საკმარისია დავასახელოთ გერმანული ფილოსოფიის მწვერვალად წოდებული ფილოსოფოსის, გეორგ ვილჰელმ ჰეგელის წიგნი „გონის ფილოსოფია“, სადაც, მრავალ თეორიულ და მეთოდოლოგიურ ზოგად-ფილოსოფიურ პრობლემებთან ერთად, წარმოდგენილია დედამიწაზე არსებული მსოფლიოს სხვადასხვა მოდემისა და წარმომავლობის რასობრივი კატეგორიების ძირითადი თავისებურებანი და მათი საკაცობრიო მნიშვნელობის ღირებულებით-შეფასებითი ასპექტები. აქვე უნდა ითქვას, რომ ცალკეული ეთნოსის, მოდემისა და რასის შესახებ არ არსებობს ერთმნიშვნელოვანი, არაწინააღმდეგობრივი და საყოველთაოდ შეჯერებული თვალსაზრისი, თუმცა ამის მიუხედავად მსგავსი ტიპის გამოკვლევებს ძალზე აქტუალური როლი ენიჭება საერთაშორისო სამეცნიერო წრეებში და მის მიმართ გულგრილი არ რჩება არც ერთი სოციალურ-პოლიტიკური მიმართულება და დარგობრივი კომპეტენცია, რომელიც როგორც ცალკეული ქვეყნის შიდასოციალურ, ასევე ქვეყნებს შორისი სახელმწიფოებრივი ურთიერთობების მრავალწახნაგოვან ქსელში, ერთობ მნიშვნელოვან ფუნქციებს განსაზღვრავს. მოცემულ შემთხვევაში, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჩვენი ნაშრომის ამოცანას წარმოადგენს, ადგილობრივ და უცხოელ მკვლევართა მასალებზე დაყრდნობით, ერთმანეთის პარალელურად წარმოვაჩინოთ ზოგად-ქართული მსოფლგანცდისეული და პერსონალურ-ქართველური იმანენტური საზრისის ნიშანდობლივი თავისებურებანი, რასაც გარკვეული იდეოლოგიური და მეთოდოლოგიური ტვირთი ეკისრება თანამედროვე საქართველოში საგრძნობლად ფეხმოკიდებული ეროვნული, სოციალური და მორალური ნიჰილიზმის პირობებში.

ქართველი ხალხი ცნობილია უძველესი კულტურითა და მდიდარი ტრადიციით. ჯერ კიდევ ძველი ბერძენი ისტორიკოსები გვაწვდიდნენ საგულისხმო ცნობებს მათი გარეგნული და შინაგანი თავისებურებების, აგრეთვე ყოველდღიური ყოფა-ცხოვრების შესახებ. ასეთთა შორის შეიძლება დავასახელოთ ძვ. წ. V ს.-ის ბოლოს ქსენოფონტის მიერ

შემონახული ისტორიული ამბები ქართულ მეომარ ტომთა შესახებ, რომელთა შორის განსაკუთრებული სიმამაცით გამოირჩეოდნენ ტაო-კლარჯეთში მოსახლე ტაოხები. ძველი ბერძენი გეოგრაფი სტრაბონი ძვ.წ. I ს.-ახ. წ. I ს.ში ვრცლად მოგვითხრობდა იბერიისა და კოლხეთის შესახებ, განსაკუთრებით ხაზგასმული იყო მათი სიმამაცე, გარეგნული მშვენიერება, ახოვნება, მომეტებული ბრძოლისა და შრომისუნარიანობა; ამასთანავე ის, კოლხეთის აღწერილობისას, იშველიებს მითებს იაზონის ლაშქრობაზე, რომელიც მიდიამდე მისულა, ხოლო ამაზე უფრო ადრე ფრიქსეს ლაშქრობასაც იხსენებს. II-III საუკუნის ბერძენი ისტორიკოსი დიონ კასიოსი მოიხსენიებდა იბერიის მეფე ფარსმან II ქველს, რომელიც იმპერატორის მიერ იყო რომში მიწვეული, საკუთარ მეუღლესთან და ვაჟთან ერთად; მისმა მხედრულმა გაწაფულობამ და საბრძოლო ხელოვნების უბადლო უნარის დემონსტრირებამ ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა რომის იმპერატორ ანტონიუს პიუსზე, რომ ამ უკანასკნელის ბრძანებით, რომის კაპიტოლიუმში ცხენზე ამხედრებული ფარსმანის ძეგლი დადგეს, რომლის მსგავსი პატივი, როგორც ამას მოგვითხრობს ცნობილი ისტორიკოსი, არც ერთ უცხო ქვეყნის სხვა მმართველს არასოდეს არ ღირსებია (Toumanoff 2016: 17).

ძალზე საგულისხმოა IV საუკუნის ბერძენი ფილოსოფოსისა და რიტორიკული მეცნიერების ავტორიტეტული წარმომადგენლის, არისტოტელეს ცნობილი კომენტატორის, თემისტოისის წერილი, რომელიც უმნიშვნელოვანესი ისტორიული წყაროა, რომლის მიხედვითაც „კოლხეთი უადრესად კულტურული ქვეყანაა და იგი მეცნიერებისა და ხელოვნების მუზების ტაძარს წარმოადგენს“ (ყაუხჩიშვილი 1949: 355). ფაზისის იდუმალმეტყველების რიტორიკულ-ფილოსოფიური სკოლის არსებობის ფაქტი არის უტყუარი დასტური იმისა, რომ ანტიკურ სამყაროში მაღალაკადემიური ფილოსოფიური აზროვნების ტრადიცია დამკვიდრებული გახლდათ კოლხეთის მიწაზე, იმ ოთხ გრანდიოზულ ქვეყანასთან ერთად, სადაც ფილოსოფია მოგვევლინა თეორიულად დასაბუთებულ მსოფლმხედველობად, თავისი მაგისტრალური მიმდინარეობებითა და ღრმა მეცნიერული განსწავლულობით; ეს ქვეყნები იყვნენ: ძველი ჩინეთი, ძველი ინდოეთი, ძველი საბერძნეთი და ძველი რომი.

გვიანი პერიოდის ანტიკურობიდან მოყოლებული თითქმის ყველა მომდევნო საუკუნის მანძილზე არსებობს რამდენიმე ათეული ცნობილი უცხოელი მოგზაურისა და ისტორიკოსის, მწერლისა და სხვა დაინტერესებული პირის უამრავი ჩანაწერი, საქართველოს ქალაქების, კუთხეების, მოსახლეობის სხვადასხვა ფენის წარმომადგენლების, ისტორიულად მნიშვნელოვანი ღირსშესანიშნაობებისა და ტრადიციების შესახებ, სადაც მაღალფარდოვანი სიტყვებითა და აღფრთოვანებულ შთაბეჭდილებათა გამოხატულებით საინტერესოდაა დახასიათებული ჩვენი ქვეყნის ბუნებრივი მომხიბვლელობა, წყლის, ჰაერის, მიწის მარგებლობა და ნოყიერება, ქართველთა გარეგნული და შინაგანი მშვენიერება, მტკიცე ნებისყოფა, ნიჭიერება და ბრძოლისუნარიანობა,

სიქველე, სიუხვე და საოცარი სტუმართმოყვარეობა. ასევე, ბევრი რამაა მოთხრობილი ქართული ცხოვრების წესის განსაკუთრებულობაზე, კულტურულ მემკვიდრეობაზე, ოჯახისადმი ერთგულებაზე, მამაკაცების სიმამაცესა და ქალების კდემამოსილებაზე. ცალკე მსჯელობის თემაა აგრეთვე ისიც, თუ რამდენი რამ თქმულა და დაწერილა დიდი ქართველი მეფეების, მხედართმთავრების, ერისა და საზოგადოების გამოჩენილ მოღვაწეთა შესახებ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხის სახელგანთქმულ, ავტორიტეტულ წარმომადგენელთა მიერ.

სისტემური თეორიულ-ფილოსოფიური რეფლექსიის თვალსაწიერში მუდმივად დგას ყოფიერების არსისა და იმანენტური საზრისის პრობლემა, არა მხოლოდ სამყაროს, როგორც უნივერსალური მთელის, სუბსტანციურ განსაზღვრულობასთან მიმართებით, არამედ ზოგადად ადამიანის, საკაცობრიო ისტორიის კანონზომიერებებთან, ბუნებრივ-საზოგადოებრივ პროცესებთან და ამ პროცესის წარმართველ ძირითად მამომრავებელ ძალებსა და ფაქტორებთან დამოკიდებულებაში. აღნიშნული თვალსაზრისით, სავსებით მართებულად მიგვაჩნია, დავსვათ საკითხი ზოგად-ქართული იმანენტური საზრისის თავისებურების შესახებ, რასაც ზოგადისა და ერთეულის თანაფარდობითი კატეგორიის შესაბამისად ლოგიკური თანმიმდევრობით მოჰყვება პერსონალურ-ქართული ნიშან-თვისებებისა და მახასიათებლების საზრისისეული ანალიზიც.

ზოგად-ქართული საზრისის შესახებ თემატური განხილვა უნდა დაიწყოს იმით, რომ საქართველო მთელი ორთოდოქსული ქრისტიანულ-მართმადიდებლური აღმსარებლობის არიალში მოხსენიებულია მარიამ ღვთისმშობლის წილხვდომილად, რასაც მოწმობენ წმინდა მამების წერილები და ეპისტოლეები (ბასილი დიდი, სვიმონ მესვეტე, სერაფიმ საროველი, დავით გარეჯელი და სხვ.). „ცნობილი ძველსლავიანური დაუჯდომელი (აკათისტი), ივერიის ღვთისმშობლისა, პორტაიტისასი, რომლის ბოლო რედაქცია XVII საუკუნეს ეკუთვნის, მოგვითხრობს ივერიის წილხვდომილობაზე, ათონის ივერთა მონასტრის დიდებაზე, წმ. ექვთიმეს ოქროპირობაზე, წმ. თორნიკეს უძლეველობაზე, წმ. გაბრიელ ხატის მიმრქმელზე და აგრეთვე ივერთა მოდგმის მომავალ დიდებაზე,, ისევე როგორც იოანე-ზოსიმეს „ქებაი“ (გამსახურდია 1991: 41). დაუჯდომელის პირველივე იკოსი განმარტავს იმასაც, თუ რატომ ვერ აღასრულა მარიამ ღვთისმშობლმა სამოციქულო მოღვაწეობა მის წილხვედრ ივერიის მიწაზე - უფლის მიერ წარგზავნილმა ანგელოზმა მოუწოდა მას იერუსალიმში დარჩენა, რომელმაც აგრეთვე ანუგეშა ღვთისმშობელი იმით, რომ მისი წილხვდომილი ქვეყანა აუცილებლად გაბრწყინდებოდა უკანასკნელ დღეებში (მეორედ მოსვლის წინ) (იქვე).

უდავოდ განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ისიც, რომ საქართველოში ქრისტიანობის გავრცელება პირველი საუკუნიდანვე იწყება, როცა ანდრია პირველწოდებულმა და სიმონ კანანელმა იქადაგეს ახალი რელიგია, ასევე ელიოზ მცხეთელისა და ლონგინოზ კარსნელის მიერ მაცხოვრის კვართის შემოტანა, რომელიც დაფლულ იქნა წმინდა ადგილზე მცხეთაში, სადაც სვეტიცხოვლის ლავრაა აღმართული,



ქართველი ერის გაქრისტიანების მსოფლიო ისტორიული მისიის საბოლოო დაგვირგვინება გახლდათ IV ს. ოციან წლებში მირიან მეფისა და ნანა დედოფლის მიერ ქრისტიანული სარწმუნოების აღიარება, რითაც საქართველო გახდა პირველი ქვეყანა მთელ მსოფლიოში, რომელმაც ოფიციალურად მიიღო ქრისტიანობა ერთადერთ უალტერნატივო სახელმწიფო რელიგიად. მართალია, ამავე პერიოდში, იმპერატორ კონსტანტინე დიდის გადაწყვეტილებით, ქრისტიანობა აღიარა რომის იმპერიამაც, თუმცა თვითონ იმპერატორი არ გაქრისტიანებულა და წარმართული ღმერთების პანთეონიც კვლავინდებურად ძალაში რჩებოდა. უფრო მეტიც, იულიანე განდგომილის იმპერატორობის პერიოდში, ქრისტიანობა კვლავ უარყოფილ იქნა და გარკვეული პერიოდის მანძილზე ჯერ კიდევ იდევნებოდა; ასე რომ, საქართველოს ამ თვალსაზრისით აშკარა პრიორიტეტი ენიჭება. აქედან გამომდინარე, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ როგორც ისტორიული, ასევე სულიერების კუთხით ქართულმა გონმა, კულტურამ, საერთო ეროვნულ-სოციალურმა მიზანდასახულობამ და ცნობიერებამ იმთავითვე შეისისხლხორცა და გაითავისა საკუთარი ზოგადსაკაცობრიო მისსია, რომელიც, ათეული საუკუნეების მანძილზე, უპრეცედენტოა ქართველი ერის მარტვილობის გამო, ქრისტიანობის სახელით. დაახლოებით ასეთი მნიშვნელობით იქნა ჩამოყალიბებული, ზვიად გამსახურდიას მიერ საქართველოს სულიერი მისიის ზოგად-მსოფლმხედველობრივი მრწამსი და გაგება, რომელიც მან გამოაქვეყნა ჟურნალ „ლიტერატურული საქართველოს“ ფურცლებზე (გამსახურდია 1991: 559).

საქართველოს სულიერი მისიის მიმართ თავისებურად არაპირდაპირი, თუმცა მკაფიოდ გამოხატული დამოკიდებულება იკვეთება მსოფლიოს სახელგანთქმული მოაზროვნეებისა თუ პოლიტიკური მოღვაწეების იდეებსა და შეხედულებებში, სადაც ძირძველი ევროპული ეთნო-კულტურული პოპულაცია გაიგივებულია კავკასიურ რასასთან. რამდენადაც ევროპული ცნობიერება და კულტურული მემკვიდრეობა აღქმულია ქრისტიანული კულტურის წიაღში, სადაც კავკასიას და სახელდობრ კოლხ-იბერიულ წარმომავლობას განსაკუთრებული როლი და ღირებულება ენიჭება, ამდენად, სულაც არ უნდა იყოს გასაკვირი კავკასიის ხალხების იბერიულ-კოლხური სისხლით ნათესაური იდენტობის მოცემულობა, სადაც ყველაზე ძირითადი დასაყრდენი და საიმედო თავშესაფარი ჰპოვა ქრისტიანული აზროვნებისა და ყოფაცხოვრების წესმა. ამ თვალსაზრისის ნათელსაყოფად ზედმიწევნით მისადაგებულია გერმანული კლასიკური იდეალიზმის მწვერვალის, გეორგ ფრიდრიხ ვილჰელმ ჰეგელის დებულება: „კავკასიურ რასაშიდა აღწევს გონი აბსოლუტურ იგივეობას თავისთავთან. აქლა შედის გონი სრულყოფილ დაპირისპირებაში ბუნებითობასთან, თავისთავს იმეცნებს თავისს აბსოლუტურ დამოუკიდებლობაში, თავს აღწევს მერყეობას ორ უკიდურესობას შორის, აღწევს თავის თავის განსაზღვრას, თავისი თვითობის განვითარებას და მსოფლიო ისტორიას წარმოშობს, მონღოლებს, როგორც ზემოთ უკვე ითქვა, თავის მახასიათებლად აქვთ გარეთკენ

მისწრაფებული მოქმედება, წყალდიდობისას წყლის მოვარდნის მსგავსი, რომელმაც მხოლოდ გამანადგურებელი ნგრევა იცის და ვერაფერს ისეთს ვერ აშენებს, რომელსაც ისტორიისთვის რაიმე პროგრესის მოტანა შეუძლია. ეს პროგრესი მარტოდენ კავკასიური რასის გზითა იწყება... მაგრამ ამ რასაში ორი მხარე უნდა განვასხვაოთ - წინააზიელები და ევროპელები, დღესდღეობით ამ განსხვავებას მაჰმადიანთა და ქრისტიანთა განსხვავება ემთხვევა“ (ჰეგელი 1984: 63).

ქართული ქრისტიანობის ორიგინალური და უპრეცედენტო ფენომენის შესახებ ივანე ჯავახიშვილი თავის ისტორიულ-ქრესტომათიულ გამოკვლევებში აღნიშნავდა, რომ წმინდა გიორგის კულტი, რომელიც წარმართული თეთრი გიორგის ადგილს იკავებს, გამოირჩევა სხვადასხვა ძირითადი და მნიშვნელოვანი ქრისტიანული დღესასწაულების: სამების, ადდგომისა და სხვათა „შთანთქმის“ უცნაური უნარით, წმინდა გიორგი ქართულ ხალხურ ქრისტიანობაში იდენტიფიცირებულია ღმერთთან, ამდენად, ეს გახლავთ არა რომელიმე კონკრეტული წმინდანი, არამედ სახე ღვთაებისა. „ამგვარად, თქმულების შესწავლა გვიჩვენებს, რომ ღვთაებათა უმთავრესი ადგილი წმიდა გიორგის უკავია; იგი შემოქმედ ღმერთზედაც, ელიაზედაც გაცილებით უფრო ძლიერი და ხერხიანია, კეთილი, ადამიანის მფარველი და ყოველნაირი ბოროტებისა და განსაცდელისაგან მხსნელი“ (ჯავახიშვილი 1979: 63). ამ უაღრესად სარწმუნო და უნიკალური ისტორიული წყაროების საფუძველზე სრულიად გამართლებულია ზვიად გამსახურდიას მიერ ქართული ქრისტიანობის შეფასება, როგორც მეზრძოლი რელიგიურობის ბუნებისა, რომელიც თავისი არსით მიქაელურ ასპექტს განეკუთვნება.

ქართველი ერის მრავალსაუკუნოვანი თავგანწირული და გამუდმებული ბრძოლა ისლამური სამყაროდან წამოსული სასტიკი დამპყრობლების წინააღმდეგ, აგრეთვე მისი მტკიცე და გაუტეხელი ნებისყოფა, ეთნო-კულტურული ღირებულებების, ეროვნული თვითმყოფადობისა და წინაპართა ძირძველი ტრადიციების განუხრელი დაცვისა და შენარჩუნების მიზნით, წარმოადგენს სულიერი მისიის შესატყვისი საზრისისეული ფუნქციის გამოხატულებას, რომელსაც ვერავითარი ღია თუ ფარული აგრესიით მომართული უცხო სხეული ვერ დათრგუნავს და ვერ აღმოფხვრის ჩვენი ისტორიულ-გენეტიკური მემკვიდრეობიდან.

ქართველი ერის ბიო-გენეტიკური, ფსიქო-სოციალური და ანთროპოლოგიური თავისებურებანი, შინაგანი განწყობილება და ხასიათი მთლიანობაში აბსოლუტურად ადეკვატური და იდენტურია იმ ბუნებრივ გეოგრაფიულ გარემოსთან, კლიმატურ პირობებთან, წყალთან, ჰაერთან, მდიდარ და სასარგებლო წიაღისეულთან მიმართებით, რომლის ჯადოსნურ სტიქიებშიც ის არის განფენილი და გარემოცული; შეუძლებელია ჩამოვთვალოთ ყველა ავტორიტეტული და გავლენიანი უცხოელი მოგზაურისა და დესპანის, ისტორიკოსის, ფილოსოფოსის, პროზაიკოსის, პოეტისა თუ მხატვრის სახელები და გვარები, რომლებმაც თავიანთი შეხედულებანი, ფიქრები და ოცნებები დაუკავშირეს ამ

ყველაფერს, თუმცა ამ თვალისმომჩქრელ, კაშკაშა ფონზე მაინც რაღაცნაირად გამოირჩევა მსოფლიოს სახელგანთქმული, ნობელის პრემიის ლაურეატი ამერიკელი მწერლის, ჯონ ერნსტ სტეინბეკის შთაბეჭდილებანი, რომელიც მან გამოაქვეყნა თავის პირად საარქივო ჩანაწერებში „რუსული დღიური“: „სადაც კი არ უნდა მოგხვედრილიყავით, უზარმაზარი რუსეთის მხარეში - მოსკოვში, უკრაინასა თუ სტალინგრადში, - ყველგან გამუდმებით ჩაგვესმოდა მაგიური სიტყვა „საქართველო“, განსაკუთრებით იმ ხალხისგან, რომლებიც არც არასოდეს ყოფილან და ალბათ ვერც ვერასოდეს მოხვდებოდნენ იქ; საქართველოზე ისინი გვესაუბრებოდნენ უდიდესი აღმაფრენით და მის ჯადოსნურ ადგილებში მოხვედრის გახელებული წყურვილით. ისინი მოგვითხრობდნენ ქართველებზე, როგორც ზეადამიანებზე, პროფესიონალ მსმელებზე, ზღაპრულ რაინდებზე, ვირტუოზ მოცეკვავეებზე, მუსიკოსებზე, დიდებულ მუშაკებსა და უბადლო საყვარლებზე. ისინი მოგვითხრობდნენ შავი ზღვისპირეთის იმ ერთ-ერთ უნიკალურ კავკასიურ ქვეყანაზე, რომელიც ნამდვილ სამოთხეს წარმოადგენს. ისინი დამაჯერებლად გვარწმუნებდნენ იმაშიც, რომ რუსების დიდი უმრავლესობა იმ იმედით ცხოვრობდა, რომ თუ ისინი კეთილად და პატიოსნად იცხოვრებდნენ თავიანთ ქვეყანაში, სიკვდილის მერე, სასუფეველის ნაცვლად, აუცილებლად მოხვდებოდნენ საქართველოში. ეს არის ბრწყინვალე კლიმატის, მდიდარი მიწისა და საკუთარი პატარა ოკეანის მომცველი ადგილ-მდებარეობა, სადაც გამგზავრება სახელმწიფოს წინაშე განსაკუთრებულად დამსახურებულ პირთათვის შედარებით ხელმისაწვდომია. საქართველოში მიდიან იმისთვის, რომ იმკურნალონ და აღიდგინონ ჯანმრთელობა, ხანგრძლივი ავადმყოფობის მერე; თვით ომის დროსაც კი საქართველო იყო ღვთისგან ნაწყალობები და დაცული მხარე, სადაც გერმანელებმა ვერ შეაღწიეს თავიანთი თვითმფრინავებით. საქართველო იყო ერთ-ერთი იშვიათი ადგილი, რომელსაც თვით ყველაზე ჯოჯოხეთური ომის მსახვრალი ხელიც კი არ შეხებია“ (Stejnbeek 1971: 287). უამრავ რამეზე მეტყველებს ეს აღნიშნული ფრაგმენტი. პირველ ყოვლისა, აქ სრულიად აშკარაა, რომ მაშინდელ საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელობაში, ორი უდიდესი ავტორიტეტის, სტალინისა და ბერიას გავლენითა და დამსახურებით, რუსეთის მოსახლეობის უდიდეს ნაწილს საქართველო და ქართველები ზღაპრული სამყაროს გმირებად და ლეგენდარულ პერსონაჟებად ჰყავდაწარმოდგენილი, ამიტომაც გრძნობდნენ ისინი ჩვენი ქვეყნისა და სამშობლოს მიმართ განსაკუთრებულ აღტაცებას, სიყვარულსა და პატივისცემას, რომელიც ამ გრანდიოზულ მოღვაწეთა სიკვდილის შემდეგაც დიდხანს ნარჩუნდებოდა საბჭოთა რესპუბლიკების ხალხთა ერთიან თანამეგობრობაში, თუმცა სხვადასხვა იმპერიალისტური, შოვინისტური და აგენტურული მიზნებით ჩანერგილი ანტიხალხური დესტრუქციული ელემენტების პერმანენტულ-სისტემატური მზაკვრობისა და ვერაგობის ძალისხმევით, ეს სიყვარული და მეგობრობა გადაიზარდა უნდობლობაში, სიძულვილსა და მტრობაში, რამაც გამოუსწორებელი ზიანი და უბედურება მოუტანა ყველა მათგანს, ვინც კი ჩართულ იქნა ერთაშორისი დაპირისპირების უბინძურეს ავანტიურაში. თუ იმდროინდელ

საქართველოშიც და მის ფარგლებს გარეთაც, უკიდევანო უცხოეთში, თითოეულ ქართველს განსაკუთრებულ სიხარულსა და სიამაყეს ჰგვრიდა საკუთარი ქართველობა, არაერთი გამართლებული საფუძვლისა და მოტივის მიხედვით, დღესდღეობით სიხარულისა და სიამაყის ნაცვლად, უკვე იმედგაცრუებამ და სასოწარკვეთილებამ დაისადგურა მრავალგზის გატანჯული და გაჭირვებული ადამიანების ცნობიერებაში.

ზოგად-ქართული იმანენტური საზრისის აღმავალი და ნათელი ტენდენციის ხელშემწყობი ობიექტური და სუბიექტური პირობები და გარემოებანი პრინციპულად ორგანულ კავშირშია კონკრეტულ-ერთეულ და პერსონალურ ქართველურ მახასიათებლებთან და თვისებებთან ბუნებრივ-ისტორიული მიზანშეწონილების კონტექსტში. ამიტომაც, როდესაც რომელიმე ერი კარგავს თავის საერთაშორისო-საკაცობრიო ფუნქციას, ის ვეღარ აცნობიერებს საუკუნეების განმავლობაში გამომუშავებულ, თავის საკუთარ ისტორიულ-კულტურულ მისიას, რომლის მიმართაც განიმსჭვალება უკურნებელი სკეპტიციზმითა და ნიჰილიზმით, რაც გახლავთ სახიფათო წანამძღვარი და წინაპირობა ტრადიციულ ღირებულებათა უგულვებელყოფისა, რწმენის ფუნდამენტური შერყევისა და მორალური გაუკუღმართებისა. ამიტომაც ქართულ სინამდვილეში უხსოვარი დროიდანვე თვალში საცემი გახლდათ შემდეგი ზოგად-ეროვნული და ინდივიდუალურ-პერსონალური ურთიერთმიმართების დიალექტიკური კანონზომიერება - როცა ქართველ ხალხს გამოუჩნდებოდა სწორუპოვარი, ქმედითი, ღირსეული და ძლიერი წინამძღოლი, ის ერთ მუშტად შეკრავდა დიდსა თუ მცირეს, ნათელი იდეალებით, რწმენით და იმედით აღჭურვავდა, ბრძოლისა და სიმტკიცის უნარს შთააგონებდა და გამარჯვებებიც უმაღლ მოვიდოდა, ასევე პირიქით, როდესაც ბოროტი და თავკერძი მისწრაფებებისგან გაჟღენთილი ინტრიგებით შეპყრობილი ავანტიურისტები ახერხებდნენ თავიანთი ბნელი ზრახვების სისრულეში მოყვანას - ერშიც უმაღლ უნდობლობა, შუღლი და დაქსაქსულობა გამეფდებოდა, რაც იყო პირდაპირი და ძირითადი მიზეზი ყოველგვარი მარცხისა, წარუმატებლობისა და დაცემისა. საქართველოს ძნელბედობის ჟამს მუდმივად თავს იჩენდა ფეოდალური განკერძოება, დანაწევრება, ეგრეთ წოდებული დიდგვაროვნული პარტიკულარიზმი, რომლის ფონზეც ადგილი ჰქონდა ყოველგვარი სახის უმსგავსობას და გადაგვარებას, რისი სავალალო ფაქტები და მაგალითები თავზე საყრელია არა მხოლოდ ჩვენს მემკვიდრეთა, მემკვიდრეთა და მწერალთა მიერ მოთხრობილ ამბებში, არამედ სხვა უფრო შორეულ დამკვირვებელთა საექსპედიციო დღიურებსა თუ სამეცნიერო ჩანაწერებში. რასაკვირველია, სასურველია ის, რასაც კარგს იტყვიან და დაწერენ ჩვენ შესახებ უცხოელები. ამის ბედნიერება არაერთხელ ჰქონია როგორც სრულიად გეორგიანულ საცხოვრისს, ასევე მის ძირძველ კოლხ-იბერიულ ჯილაგსა და მოდგმას, მაგრამ ცუდიც და საძრახისიც დაუწერიათ ზოგჯერ, ისეთებიც და იმდენიც, რომ არ შეიძლება გული ამით არ გვეტკინოს და სირცხვილის გრძნობა არ დაგვეუფლოს. ქართველი მკითხველისთვის მეტად ამაღელვებელი იქნება კანტის თანამედროვე, ცნობილი გერმანელი ფილოსოფოსის, იოჰან



გოტფრიდ ჰერდერის ცნობები საქართველოს შესახებ, რაც, როგორც ჩანს, იმდროინდელ მოგზაურთაგან გავრცელებულ შთაბეჭდილებებზეა დამყარებული. თავის ერთ-ერთ პოპულარულ, ისტორიულ ფილოსოფიურ ტრაქტატში „იდეები კაცობრიობის ისტორიის ფილოსოფიის თაობაზე“ იგი წერს: „კიდევ უფრო მიმივა ქრისტიანული საქართველოს ბედი, აქ არის ეკლესიები, მონასტრები, ჰყავთ ეპისკოპოსები, ბერები. ქართველი ქალები ლამაზები, ქართველი კაცები-მამაცი არიან და მაინც მშობლები ჰყდიან თავიანთ ბავშვებს, ქმრები ცოლებს, თავადები - ქვეშევრდომთ, მორწმუნენი - მღვდლებს. უცნაური ქრისტიანობა სუფევს სულით ჯანსაღ და გულით კი უნდო, ამ პატარა „ჭკვიან ხალხში“ (Гердер 1977: 491).

საერთოდ, რაც შეეხება საქართველოს ისტორიულად დამკვიდრებული ეროვნული უბედურების საზრისისეულ განსაზღვრულობას, მისი არსი მდგომარეობს იმაში, რომ ყველაზე ბნელი, უღირსი და ჩამორჩენილი მარგინალური საზოგადოებრივი წარმონაქმნი, შესაშური ერთიანობითა და დარაზმულობით, ყველაზე საუკეთესოდ ცდილობს და ახერხებს, ყველაზე ჯანსაღ, ღირსეულ და მოწინავე მამულიშვილთა წინააღმდეგ ძლევამოსილ გალაშქრებას. ქართულ ხასიათში არსებული მანკიერებანი ჯერ კიდევ ადრეულ შუა საუკუნეებში გააცნობიერა ქართულმა ეროვნულმა ცნობიერებამ; მაგალითად, დავით აღმაშენებლის პერიოდის მემკვიდრე წერდა: „ნათესავი ქართველთა ორგულ ბუნება არს პირველითაგანვე თვისთა უფალთა, რამეთუ რაჟამს განდიდნენ, განსუქდნენ და დიდება ჰპოონ და განსვენება, იწყებენ განზრახვასა ბოროტისასა“ (კეკელიძე 1961: 522). არჩილ მეფე თავის პოემაში ბაზალეთის ბრძოლასთან დაკავშირებულ ეპიზოდზე ამბობდა:

„ასე სჭირს საქართველოსას დიდებულთ განა მცირეთა:

აზვავდებიან, იტყვიან უჩემოთ ვინ იმღერეთა?!“

მანკიერ ქართულ თვისებებს მოურიდებლად ამხელენ და ააშკარავებენ აგრეთვე: დავით გურამიშვილი, ილია ჭავჭავაძე და ვაჟა ფშაველა. დიდი ილია თავის ლექსში „ბედნიერი ერი“, ასე ახასიათებს ქართველებს: „უზღუდონი, გზამრუდონი,

არ გამტანი და ცბიერი,

მტრის არ მცნობი, მოყვრის მგმობი,

გარეთ მხდალი, შინ ძლიერი.“

იშვიათად მოიძებნება რომელიმე ერი და ხალხი, ვისაც საკუთარი ღირსეული შვილების მიმართ უმადურობა და უპატივცემულობა ისე ღრმად ჰქონდეთ ძვალ-რბილში გამჯდარი, როგორც ქართველებს; ძალიან შორს წაგვიყვანს იმ დიდებულ გმირთა და საზოგადო მოღვაწეთა ჩამონათვალი, რომელთა მიმართ მასობრივმა უკეთურმა გამოხდომებმა საბედისწერო როლი ითამაშა საქართველოს ისტორიაში თავისი უმძიმესი და სავალალო შედეგებით; სწორედ ამას გულისხმობდა ვაჟა-ფშაველა, რომელიც თავის ლექსში „გიორგი სააკაძის სურათზე“ ცრემლმორეული მიმართავდა საქართველოს:

„თუ ვერ ვიგუებთ, ვერ შევიფერებთ,

კარგი შვილები რად გვებადება?

ნამდვილ მშობელსა ეს ეკადრება?!“

ამდენი საყვედურისა და შეძახილის მიუხედავად, ჩვენს ქვეყანაში მაინც არ წყდება ურთიერთგაუტანლობის, ბოდმის, შურის, მტრობისა და ცილობის უკურნებელი სენის გავრცელება, რაც იმდენად შეერწყა და შეესისხლხორცა ქართულ ხასიათს, რომ ჩამოყალიბდა მის თავისებურებად. ამის შესახებ ქართველი ფილოსოფოსი კონსტანტინე კაპანელი თავის ნაშრომში აღნიშნავდა: „უჩემოდ ვით იმღერეთობა“ - აი, ჩვენი ისტორიული ტრაგედიის გამოსახულება. „უჩემოდ ვით იმღერეთობა“ - აი, ჩვენი საზოგადოებრიობის მიმდინარეობის საშინელი სენი“ (კაპანელი 1996: 296). ეს დაავადება, რომელიც სერიოზული გაცნობიერებისა და ქირურგიული ჩარევის საგანია, არგახლავთ მხოლოდ წარსულის გამოძახილი; ამდავადების ტრაგიკულობა იმითაცაა განპირობებული, რომ იგი დღესდღეობითაც აკნინებს და ძალ-ღონეს აცლის ქართული სულიერების სამირკველსა და დასაყრდენს. ჩვენი ეროვნული მენტალიტეტი თანამედროვეობაშიც არანაკლებ დაავადებულია ამ მანკიერებით, ვიდრე ფეოდალიზმის ხანაში. მართალია, ფეოდალური დანაყოფები აღარ არსებობენ, თუმცა მათი ადგილი დაიკავა ვიწრო პოლიტიკურმა პარტიკულარიზმმა; ამჟამინდელი ლიბერალური დემოკრატიის პირობებში იმდენად მომრავლდა დესტრუქციული ინტერესებითა და ანტისახელმწიფოებრივი ზრახვებით მომართული პარტიები, რომ ყოველგვარი რეგლამენტით დაშვებულ ფარგლებსაც გადააჭარბა; სრულიად შეუზღუდავი, უკონტოლო და არაპროგნოზირებადია მათი კაპრიზები, ინტრიგები, ამბიციები და თავხედური ცინიზმი, რასაც მეტად ეფექტურად და სასარგებლოდ იყენებენ სხვადასხვა ანტიქართული, იმპერიული ზრახვებით აღჭურვილი უცხოური პოლიტიკური კლანები და მათ მიერ მობილიზებული როგორც ლოკალური არასამთავრობო, ასევე ბევრად უფრო მსხვილი საერთაშორისო ორგანიზაციები, რომლებიც ფინანსურად ახალისებენ, აქეზებენ და მიზანდასახულად მართავენ სხვადასხვა ანტიეროვნულ, ანტისოციალურ, სექტანტურ თუ მარგინალურ-ამორალურ ჯგუფებსა და ე. წ. სექსუალურ უმცირესობებს, ადამიანის უფლებებისა და გამოხატვის თავისუფლების დაცვის საბაზით, რითაც ყოველნაირად ხელს უწყობენ ეროვნულ-სახელმწიფოებრივი დეზორიენტაციის ფართო კამპანიას, ქართული საზოგადოების დაკნინების, დაქსაქსვისა და პარალიზების მიზნით. ამიტომაც ქვეყანას და ხალხს ახლა ყველაზე მეტად ესაჭიროება ჭეშმარიტი მამულიშვილები, პროფესიონალი მუშაკები, საზოგადოების სასიცოცხლო ინტერესების დამცველი ქმედითი ძალა, რომელსაც ეყოლება ისეთივე წინამძღოლი და ღვაწლმოსილი პიროვნება, როგორც მას ჰყავდა ისტორიული ძნელბედობის ქარტეხილებში. სხვა შემთხვევაში ჩვენი ქვეყანა თავს ვერ დააღწევს კოლონიურ მდგომარეობას, ხოლო ჩვენი ერი ვერ აცდება სულიერ და მორალურ გადაგვარებას, რაც საბოლოოდ შეიძლება გახდეს მისი ფიზიკური გადაშენების საფუძველი.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ზოგად-ქართული და პერსონალურ-ქართველური იმანენტური საზრისის გაცნობიერება გულისხმობს ზოგადისა და კონკრეტულის თანაფარდობითი კატეგორიის

დიალექტიკურ კავშირ-ურთიერთობას და განპირობებულობას, რომლის დამახასიათებელი კანონზომიერების არსში წვდომა წარმოადგენს ძირეული პოზიტიური ცვლილებებისა და აუცილებელ ღონისძიებათა კომპლექსის თანმიმდევრული გატარების შესაბამისი წანამძღვრებისა და წინაპირობების ჩამოყალიბებას, რამაც ჩვენს ერსა და საზოგადოებას უნდა გაუღვიძოს მყარი ეროვნული თვითშეგნება და საქვეყნო საქმის კეთების ვალდებულებისთვის ნიშანდობლივი მაღალზნეობრივი პასუხისმგებლობა.

### ლიტერატურა

- გამსახურდია 1991:** გამსახურდია ზ., წერილები ესეეები. თბილისი, 1991.
- კაპანელი 1996:** კაპანელი კ., ქართული სული ესთეტიკურ სახეებში. თბილისი, 1996.
- კეკელიძე 1961:** კეკელიძე კ., ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II. თბილისი, 1961.
- ყაუხჩიშვილი 1949:** ყაუხჩიშვილი ს., ბერძნული ლიტერატურის ისტორია, ტ. II. თბილისი, 1949.
- ჯავახიშვილი 1979:** ჯავახიშვილი ივ., თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. I. თბილისი, 1979.
- ჰეგელი 1984:** ჰეგელი გ. ვ. ფ., ფილოსოფიურ მეცნიერებათა ენციკლოპედია, გონის ფილოსოფია. თბილისი, 1984.
- Stejnbeek 1971:** Stejnbeek Dzhon. Russkij dnevnik./Steinbeck John. Russian blog. Hardcover – January 1, Moscow, 1971.
- Toumanoff 2016:** Toumanoff Cyril. Chronology of the Early Kings of Iberia. Traditio Cambridge University Press. 29 July, 2016.
- Гердер 1977:** Гердер И. Г., Идеи к философий историй человечества. Москва, 1977.